



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
KHARAGAULI MUNICIPALITY CITY HALL



წერილის ნომერი: 68-682234677
თარიღი: 12/12/2022

ადრესატი: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში 2022 წელს შემოსული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე რეაგირების მდგომარეობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

მოგახსენებთ, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს მოთხოვნების სრული დაცვით წარმართავს მუშაობას საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე რეაგირებისას. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 35-ე და 38-ე მუხლების საფუძველზე, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურში გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული მოთხოვნილი და გაცემული საჯარო ინფორმაციების რეესტრში შეტანას.

2022 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციები არ გასაჩივრებულა, რეაგირების გარეშე არ დარჩენილა არცერთი მოთხოვნა. ყურადღებით ვეკიდებოდით საქართველოს კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს მოთხოვნებს და ვიცავდით ვადებს, ამის გამო ზოგჯერ გამოყენებული გვაქვს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს მე-40 მუხლის მე-2 პუნქტი, ვინაიდან მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია იყო მნიშვნელოვანი მოცულობის, ერთმანეთთან დაკავშირებული და ცალკეული დოკუმენტები მოითხოვდა მოძიებას და დამუშავებას.

2022 წლის საანგარიშო პერიოდში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში კერძო და იურიდიული პირებიდან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე სულ შემოსულია 32 განცხადება. ყველა შემოსულ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე გაცემულია პასუხი. ძირითადად ითხოვდნენ საჯარო ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე: მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურებში, ასევე ა(ა)იპ-ებში ხელმძღვანელი პირების და მერიის სტრუქტურებში დასაქმებულთა საშტატო ნუსხისა და დაფინანსების

შესახებ, 2022 წელში განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ და სხვა სახის პროექტების შესახებ, მერიისა და მისი სამსახურების, ასევე საკრებულოსა და მერიის მიერ გახარჯულ სამივლინებო, საწვავისა და წარმომადგენლობითი ხარჯების შესახებ, გაცემული ფულადი ჯილდოებისა და პრემია დანამატების შესახებ, ასევე მერიის სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულ შტატთან და შტატგარეშე მოსამსახურეთა რიცხოვნობის შესახებ, მოქალაქეებზე გაცემული ერთჯერადი ფინანსური დახმარების, სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეებზე დახმარებისა და სარეზერვო ფონდიდან გახარჯული თანხების მიზნობრიობაზე. მრავალშვილიანი და მარტოხელა მშობლების, ასევე შშმ პირების დახმარების პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების შესახებ, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ათვისებული თანხების შესახებ, ფულადი და სხვა სახის დახმარებაზე მოქალაქეთა მომართვიანობისა და მათზე გაწეული დახმარებების შესახებ მიწის რეფორმასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, საინფორმაციო მომსახურებისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი და გახარჯული თანხების შესახებ, სატენდერო წინადადებების წარდგენისას მოთხოვნილი დოკუმენტაციისა და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებზე გაცემული მშენებლობების ნებართვის შესახებ, ბიუჯეტში გაწერილი არაკლასიფიცირებული თანხების დანიშნულებისა და ხარჯვის შესახებ, მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლების განვითარებისათვის გამოყოფილი თანხებისა და ამ კუთხით ჩატარებული სამუშაოების შესახებ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათთვის დროებითი თავშესაფრის გამოყოფის საკითხებზე. შადრევან-აუზების რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი თანხების და მათი მიზნობრივად ხარჯვის შესახებ, 2020 წლიდან დღემდე ეპარქიაში შემავალი ეკლესია-მონასტრების და სასულიერო სასწავლებლებისათვის გადარიცხული თანხების შესახებ და რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობისათვის გამოყოფილი თანხების შესახებ, კულტურისა და განათლების კუთხით გატარებული ღონისძიებებისათვის გამოყოფილი თანხების შესახებ, მოსწავლეთა ტრანსპორტირების შესახებ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა დაუცველი ჯგუფების, პროფესიული კავშირების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კოალიციების არსებობისა და მათი საქმიანობის შესახებ, ბავშვის უფლებათა და თავისუფლების დაცვის და მხარდაჭერის მიზნით მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ, სხვადასხვა კომპანიების მიერ ინფრასტრუქტურული და სხვა სახის პროექტების ვადაგადაცილებული და ჯეროვნად შეუსრულებლობისათვის მერიის მიერ დაკისრებული ჯარიმების შესახებ, მერიაში დასაქმებულ სოციალურ მუშაკთა შესახებ, აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით გაცემული ფინანსური დახმარების მიმღებთა, ასევე სათნობის სახლიდან გაცემული პროდუქტების მიმღები პირების შესახებ. ადგილობრივი ბიუჯეტიდან ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისათვის გამოყოფილი თანხების შესახებ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბიბლიოთეკების რეაბილიტაციისათვის, ახალი ბიბლიოთეკების მშენებლობისა და წივნების შესაძენად გამოყოფილი თანხების შესახებ, მერიის ბალანსზე არსებული სასოფლო და არასასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების ჯამური ოდენობის, მათ შორის საძოვრებისა და სათიბების რაოდენობის შესახებ, სახელმწიფო ტყის ფონდიდან ამორიცხული ტყის მასივის ნაკვეთების პრივატიზების შესახებ, ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური და ჯანდაცვის პროექტებზე გაცემული თანხების შესახებ, „დიალიზისა და თირკმლის ტრანსპლანტაციისთვის“ სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარებისთვის 2022 წელში გამოყოფილი თანხების შესახებ.

საჯარო ინფორმაციები გადაეგზავნათ: “საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“-ს, „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო-საქართველო“-ს, მედია ორგანიზაცია „ჩემი ხარაგაული“-ს რედაქციას, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ა(ა)იპ ახალგაზრდა ინიციატორთა ასოციაციას, გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება „აი ფაქტი“-ს გამომძიებლებს, საქართველოს პარლამენტის წევრებს, საკრებულოს ფრაქციებს, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაციას, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციას, ა(ა)იპ „საჩხერის შშმ პირთა რეგისტრირებულ კომისია“-ს, საქართველოს მედია-

კლუბს, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს, საზოგადოებრივი მონიტორინგის და კვლევის ცენტრს და სხვებს.

შემოსული განცხადებები განეკუთვნებოდა მერიის კომპეტენციას, ყველა შემოსულ განცხადებაზე გაცემულია პასუხები.

კობა ლურსმანაშვილი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

